

საგაზელო



საერთოული გაზელი

საგაზელო 9 სექტემბერი 2003 №169 (1940)

ფასი 50 თეთრი

მთხაბათსას რეგ გაგათი იყო...

საქართველო - ალბანეთი - საქართველო



სვალ ტირანაში

საქართველოს იმედი მიაცა

3:0

ალბანელს
ქველ სტაფაე თავისი
ანგარიში აქვთ

შუშუნა დანი მოსულა

ბირანის თბილისური აგზები დანაშაულებზე



ლალო ბურდულა ალბანელებმა ალბანეთი აღარ ანახეს

სამართლიანად ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები გუშინ განთავსდა გულდენ ტირანის გზას — ჩვენები ალბანეთის დედაქალაქში იქაური, ანუ ევროპული დროით თორმეტის ნახევარზე ჩაფრინდნენ. სასტუმროსკენ სავალი გზა იოლი არ ყოფილა — მოძრაობა ტირანის ვიწრო ქუჩებში საცობებს გაუჯანჯალუბდა. ეროვნული ნაკრები სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდა, ისაღილა და ძილს მიეცა, ხოლო ვარჯიშამდე თორთულადაც წამოეცადინა „ქემალ სტაფაზე“, სადაც ხვალ მატჩი გაიმართება, საქართველოს ეროვნული ნაკრები დღეს ივარჯიშებს, გუშინ კი ტირანის ერთ-ერთ პატარა, მაგრამ კომფორტულ სტადიონზე დაიხარჯა სადამოს შვიდ საათზე. მინდორის ხარისხი დასაწყისი არ იყო, მაგრამ დაიწყო თუ არა მოთელვა, განათება ჩაქრა. ცოტა ხანში მოედანს დენის მიწოდება აღუდგა, მაგრამ შუქი კვლავ გაითიშა და ასე განმეორდა სამჯერ. დაბინდულ მინდორზე კი ქართველები არ გაჩერებულან, მუხუჭილით

აგრძელებდნენ წვრილან სამი ჩაქობა-ანთების შემდეგ ყველაფერი ნორმალურად წარიმართა — ვარჯიში სრულყოფილი გამოდგა ჩვენებურთა ვარჯიშს ოდენ ზუთი ალბანელი ჟურნალისტი დაესწრო და საერთოდ, საამატირო აყოლატი ტირანაში მინცდამინც არ იგრძნობა. შუქის პაჭუნის გარდა ტირანამ ქართველებს წვიმაც არ დაამალდა — დანამულმა ნაკრებმა წვრთნა საათნახევარში მოამთავრა და „შერატონში“ დაბრუნდა. ნაკრებს ალბანეთში ვერ გაჰყვა ლალო ბურდული — დინამოელი მარჯვენაფლანგელი 6 სექტემბრის მატჩში ისე დაშავდა, რომ შინ დარჩა. მთლად ჯანზე ვერ არის გიორგი დემეტრაძე — მან გუშინ ტირანაში ოდენ მსუბუქად, ინდივიდუალურად ივარჯიშა რამდენიმე წუთი — ფეხმტკივანი დემეტრაძე ეგებ დღე შეეჭდოს სრულ დატვირთვებს. ძალიან გვინდა მოვიგოთ — ასეთია ჩვენი ნაკრების ტირანული განწყობა.

პროფლიგა ათიანს უშიზნებს

იღეამ ნახეპარი ჩემპიონატიც აიყოლია

საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა მორიგი სიახლისთვის ემზადება — 2005-06 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმძლეესი ლიგა შესაძლოა ათ გუნდამდე შემცირდეს. ეს იღეა პროფლიგის საკოორდინაციო საბჭომ უკვე მოიწონა. ამ საბჭოში შედიან „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „დილას“, „ვიტ ჯორჯიას“ და „თბილისის“ წარმომადგენლები, აგრეთვე, პროფლიგის პრეზიდენტი დიმა რამიშვილი და ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ლერი სულაბერიძე. თორმეტიდან ათგუნდიან ჩემპიონატზე გადასვლის წინადადება რამიშვილმა და სულაბერიძემ წამოაყენეს დ საბჭოში შემაჯავლი კლუბების წარმომადგენლებმაც კვერი დაუკრეს. თუმც, როგორც პროფლიგის პრეზიდენტმა რამიშვილმა გვითხრა, გადაწყვეტილი ვერ არაფერია — იღეას რომ ხორცი შეესხას, დასტური დანარჩენი კლუბებისგანაც უნდა იყოს — ყველა კლუბის აზრი გათვალისწინებული იქნება.

დავით თავართქილაძე



ორი დღეა, ნოდარ აბაიძის სახლის კედელზე მისი მემორიალური დაფაა. ვიდრე იარსებებს ქართული ფეხბურთი, აბაიძის სახელს დავიწყება არ უწერია

უვედითი საქართველო XIII ტური სილვია 0:0 უპარა ვესტაროსი 2:2 ფორვარდი გალგიო 2:3 კალვარი	იტალია სერია C/B II ტური ტირანო II სამხედროდებო ინგლისი III დივიზიონი VI ტური დონკასტრი 0:0 კალი
---	---

სამართლიანად **პირველი** 15 **ჩემპიონატი** **ლიგა** **4 ტური** **აიკაი**

მსკ 80600ა. 7 სექტემბერი. 17 საათი. ბრმაზი 200 (ტელეფონი 3 000)

თსუ 3:0 აგერი

მსკ კომპლექსი, აგერი სტადიონი (სივრცე 71) საბჭოთა სტადიონი (სივრცე 60) საბჭოთა სტადიონი (სივრცე 60) საბჭოთა სტადიონი (სივრცე 60) საბჭოთა სტადიონი (სივრცე 60) საბჭოთა სტადიონი (სივრცე 60) საბჭოთა	აგერი კომპლექსი, აგერი სტადიონი (სივრცე 46) სტადიონი (სივრცე 46) სტადიონი (სივრცე 46) სტადიონი (სივრცე 46) სტადიონი (სივრცე 46)
--	--

არ დაგაპინუღაით სსენარის ტექსტი

აპაუნა კაღიბა მცხეთიდან

30 სექტემბერი: როდესაც მცხეთაში თბილისის უნივერსიტეტს ხედები და თავს ჯვრის მონასტერი დაგვეურებს, ვალდებული ხარ, ქართულ სიწმინდებს პატივი სცე. „ამერმა“ 0:3 წააგო.

ახლა სერიოზულად: პირველი 20 წუთი მეტოქეებს იმის გასარკვევად დასჭირდათ, ვინ იქნებოდა ამ თამაშის „დიდი ბიჭი“ და ვინ „პატარა“. ამ პერიოდში როგორც მასპინძლები, ასევე სტუმრები შეხვედრის სცენარად თავისი გეგმის გამოცხადებას ცდილობდნენ. ტემპი დაბალი ნამდვილად არ გახლდათ და ბურთი ცენტრის აქეთ და იქით, საჯარიმოებამდე ტრიალებდა და ვერსად მკვიდრდებოდა. ერთი სიტყვით, მხარეები რაღაცას ელოდნენ, ბლოკოტში ჩასანიშნი კი ბევრი არაფერი შემოუთავაზებიათ — ზოგადი სურათი დავიმახსოვრეთ და ეგ იყო.

გრამ განუგრაგვას დარტყმა მიზანს სცილდება. მე-40-ზე თსუ-ს მეორე გოლი გააქვს, ამ ეპიზოდში ისევ სახოკიამ გამოიჩინა თავი, ოღონდ ამჯერად როგორც ასისტენტმა, ხოლო ბაღეში ბურთი კახა ბერულიძემ შეაგდო. ხოლო შესვენებამდე დარჩენილ ხუთ წუთში „ამერის“ საყრდენ ნახევარმცველს, დიმიტრი ვერემუკს ჰქონდა ორი მომენტი: თავიდან საჯარიმოს მისადგომებიდან მალლა დაარტყა, შემდეგ კი აშკარა საგოლე ეპიზოდი ვერ გამოიყენა. მეორე ტაიმი სტუმრებმა ერთბაშად სამი ახალი ფეხბურთელით დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ აქედან თვალშისაცემი თავდამსხმელთა წყვილის შეცვლა გახლდათ — მამუკა რუსიას დ გიორგი კილასო-



გიორგი დულუშაურის (№17) ეს დარტყმა საგოლე ვერ გამოდგა

ფახბურთი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

პირველი ლიგა

სხვალ

პირველი ტურის გადადებული მატჩი

ამერი — იმერია


თბილისი ხაშური

დასაწყისი 17 საუთოა დასრულება უფასოა

ირლანდია 1:1 რუსეთი

50 დამი (35), 41 იგნაშევიჩი (42)
 ირლანდია: გივენი, კარი, ოში (პარტი 26), კანინგემი, ბრინი, პოლანდი, კარსლი (რიდი 46), ჰელი, დევი, მორისონი (დოპერტი 73), კილბინი
 მწვრთნელი: ბრაიან კერი
 რუსეთი: ოჩინიკოვი, ვესევი, სმერტინი, სენიკოვი, ალენიჩევი (ბლდონინი 39), იგნაშევიჩი, ონოპკო, გუსევი, ბულიკინი, მოსტოვი, ესიბოვი (კურაქოვი 34)
 მწვრთნელი: გიორგი იარცევი
 გაფრთხილება: იგნაშევიჩი, კანინგემი, სმერტინი, მოსტოვი, კილბინი
 მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

სამურობლოს დამცველი
დაფი კი გაიქცა, მამრამ იგნაშევიჩი გამოიქცა



დაფი კარი და ალექსანდრ კურაქოვი

ორე სართულზე, გულდაგულ იბრძოდა თითოეული ბურთისთვის, ირლანდიელთა შტურმისას დაცვასაც ეხმარებოდა და გოლშიც ლომის წილი ღაიღო. სწორედ მისი და გივენის ბრძოლისას მიუვიდა ბურთი იგნაშევიჩს და მანაც გადამწყვეტი დარტყმა უნაკლოდ შეასრულა. ბულიკინს რუსმა მედილე-ბმა იარცევის აღმოჩენა უწოდეს. იგნაშევიჩი კი ბოლო დროს რუსთა გადამჩენად ყალიბდება. შვეიცარიასთანაც მან მოუპოვა „ორთავა არწივს“ ქულა დუბლით და დუბლინშიც არ აკანკალებია ფეხი. შაბათს, ფაქტობრივად, იგნაშევიჩის და ონოპკოს კისერზე გადაიარა მატჩის სიმძიმემ.

დასაწყისი გემუაჟური არ გამოსვლიათ ლენსდაუნროუდელებს. ქომაგთა ყოჩინამ ვერც ვერ გაახვლა ბრაიან კერის ბიჭები. მეტიც, დებიუტი რუსებისა იყო, იარცეველები მშვიდად აგორებდნენ ბურთს და მეტოქის დაცვის ნაპრალებს ეძებდნენ. მალე ტრავმირებულ ოშის მოუხდა მოედნის დატოვება და სტუმრებმა უფრო ძალუმად გაიწიეს გივენის კარისკენ.

მასპინძლები კარსლის და ბრინის შეტევებმა გამოაფხიზლა, მერე კი ოქრო ბიჭმა დამიენ დაფმა მოკიდა საქმეს ხელი. რუსი ნახევარმცველები მარტვი სიტუაციაში ვერ გაერკვნენ, ბურთი დაკარგეს და დაფიც გაქროლდა. საგოლე დაძრულმა ირლანდიელმა მოულოდნელად დაარტყა, ბურთი გზად ონოპკოსაც გაეხანუნა და ოჩინიკოვის კარის შორეულ კუთხეში აშოფო თავი. გოლიდან წუთის შემდეგ იარცევა კერუაყოვით შეცალა ესიბოვი, მალე კი ფეხბრუნული ალენიჩევის გაყვანაც მოუხდა. კერუაყოვი ზეირიანად გახურებული არც იყო, 19 მეტრიდან რომ გაისროლა. გივენმა კუთხურზე გადაადგო ბურთი და მოსტოვის მიერ ჩაწოდებულ ამ კუთხურს მოჰყვა ბულიკინის შედეგაზი ბრძოლა გივენთან და იგნაშევიჩის გოლი. აი, კურითიც, მცველი იგნაშევიჩი ამ შესარჩევ ციკლში სამი გოლით ბომბარდირია რუსთა ნაკრებში.

მეორე ნახევარში რუსები ენერ-

შანსი აქვს და მისი რეალიზებაც ჩვენზე კარგად შეუძლიათ.

შვეიცარია ჯგუფის ლიდერის სტატუსით ჩავიდა გუმნ მოსკოვში და ყველას გასაკვირად დედაქალაქიდან 35 კილომეტრის დაშორებით ნახაბინის ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „მერიდიენში“ დაბინავდა. შვეიცარია მინიმუმ ქულისთვის ითამაშებს, რადგან ასეთ შემთხვევაში პლეი ოფში თამაში ექნება დაბეჭებული, საერთოდ კი იაკობ კუნის გუნდს სხვებზე გაცილებით დიდი შანსი აქვს ჯგუფის მოსაგებად, რაკილა ბოლო ტურში ირლანდიას მასპინძლობს და წარმატების შემთხვევაში პირველობას გამოჰკრავს ხელს. თუმც ფაქტია, კუნს საქმის წინ წავდება სურს და რუსთა დამარცხებაზეც არ იტყვის უარს. შვეიცარიელები დასვენებულ-დაწყნარებულნი ჩავიდნენ ნახაბინში. რუსეთი რომ ირლანდიას აწყობებოდა, კუნის ბიჭები ციურინის სასტუმრო „პანორამაში“ ნებივრობდნენ, რომელიც თავად კუნს აურჩევია და უთქვამს „პანორამა“ ტბას დაჰყურებს და ასეთი ხედი წარმატებისთვის საჭირო მოტივაციას გაგიდევინებსო. მოკლედ, კუნის ერთობ რომანტიკული განწყობით ჩავიდა რუსეთში და ხვალ გამოჩნდება, რა ძალა ჰქონია ციურინულ პეიზაჟს.

შვეიცარიელები ვერ ათამაშებენ



სტივენ კარი და ალექსანდრ კურაქოვი

გიულად უმკლავდებოდნენ მასპინძელთა დაწოლას. 73-ე წუთზე ბრაიან კერი ბოლო სელა გააკეთა — ინერტული მორისონი თბილისში გოლის გამტანი გარი დოპერტით შეცვალა. დოპერტიმ საგრძობლად გააშფევე ირლანდიელთა თამაში და დაცვა ოჩინიკოვის კართან. დაფის და ჰარტის იერიშებისას ორჯერ ბეწვზე გადაურჩნენ სტუმრები მკველელ გოლს. რუსთა ყველა ფეხბურთელი, გარდა კერუაყოვისა, თავს იცავდა. სტუმრებს ერთადერთხელ მიეცათ კონტრშეტევის საშუალება — კერუაყოვმა ეულად ათრია ბურთი და არახუსტად დაარტყა. ეს იყო და ეს. საფინალო სასტვენმა ორივე გუნდის მწვრთნელს ათქმევინა, ფრე ლოგიკური იყო. იარცევი კი რუს ურ-

ვალ კუნს აურჩევია და უთქვამს, „პანორამა“ ტბას დაჰყურებს და ასეთი ხედი წარმატებისთვის საჭირო მოტივაციას გაგიდევინებსო. მოკლედ, კუნის ერთობ რომანტიკული განწყობით ჩავიდა რუსეთში და ხვალ გამოჩნდება, რა ძალა ჰქონია ციურინულ პეიზაჟს.

შვეიცარიელები ვერ ათამაშებენ



გიორგი იარცევი

რუსეთი — შვეიცარია

შვეიცარია პეიზაჟით პარჯიშობს
იაკობ ჯუნაბა წყლის ძალა იცის

ხვალ დიდი ხმაური იქნება ჩერკოზოვში, რუსი „ლოკომოტივის“ სტადიონს გაავსებს. გიორგი იარცევის გუნდს გადამწყვეტი თამაში აქვს შვეიცარიასთან. რუსებს მხოლოდ და მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, რათა საქართველოსთან დარჩინოდ ბოლო მატჩის საპორტუგალიო მოტივაცია ჰქონდეს.

ირლანდიაში ომგადახდილი რუსეთი შაბათსვე დაბრუნდა მოსკოვში და ბორში გამოიკეტა. დუბლინურმა მატჩმა ცხადყო, რომ ვეტერანი ლეგიონერებით გაძლიერებულ „ორთავა არწივს“ საპორტუგალიოდ ბრძოლა შეუძლია. მოკუგოთ შვეიცარიას და ევროპის ჩემპიონატზე წავალთ, ამბობენ რუსები და არცკი აფიქრებთ ის, ბოლო ტურში საქართველოსთან რომ აქვთ სათამაშო. თუმცა რა, რუსი გაზს და შუქს არ ვეადლებს და თუ ჩვენამდე მოტივაცია შერჩა, ვინძლო უქულოდაც გამოუშვას უორდანიას გუნდი მოსკოვიდან. თუმც 11 ოქტომბრამდე ჯერ ადრეა, ჩვენ კი ის გავიხსენოთ, რომ რუსეთი გადამწყვეტი მატჩების ჩაფლავებითა ცნობილი, მაგალითად თუნდაც ბოლო მუნდიალზე ბელგიასთან ჩაფლავება და წინა ევროშესარჩევში უკრაინასთან წაგებული პლეი-ოფი გამოგვადგება. მიუხედავად ამისა, თქმა არ უნდა, რუსებს ქართველებთან შედარებით პორტუგალიაში მოხვედრის გაცილებით კარგი

ბაბათა კვანტალიანი

შვეიცარია	6	3	3	0	12:7	12
ირლანდია	7	3	2	2	10:9	11
რუსეთი	6	2	2	2	12:10	8
სამაროველი	6	2	1	3	6:8	7
ალბანეთი	7	1	2	4	8:14	5

სხვალ

ალბანეთი — სამაროველი
რუსეთი — შვეიცარია
 11 ოქტომბერი
რუსეთი — სამაროველი
შვეიცარია — ირლანდია

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

III ჯგუფი
თეთრი რუსების
უაპი დღე



პაველ ნედველი

ბელარუსი 1:3 ჩინეთი
ბელარუსი: ტუმბოლოვი, კული, ოსტროვსკი, ლუბინი, შტანიუკი, გურენკო (ვოლოდენკოვი 82), რუნიკა (სრაპუკუი 90), კუტუხოვი (გლები 86), რომაშენკო, პერაშანკა, ბულიბა
წვრთნელი: ედუარდ მლოფევი
ჩინეთი: ჩენი, გრიგორა, იუფუალუმი, ბოლოი, იანკულოვსკი, პობორსკი, ტისე (შნიცერი 35), კოლერი, როსიცი (ვაბუშევი 83), ნედველი, ბაროში (პუბშანი 86)
წვრთნელი: კარელ ბრუკნერი
გაფრთხილება: რომაშენკო, ლუბინი, პობორსკი, იანკულოვსკი, გლები
მსაჯი: მ. მაკკერი (შოტლანდია)
ჩეხეთი პოლანდიას არ ჩამორჩა და „ნარინჯისფერებმა“ ავსტრიას რომ სძლიეს, ზუსტად მსგავსი ანგარიშით ბელარუსები დაამარცხეს. მასპინძლებს ცხრილის ბოლო საფეხურიდან წამოწევა ეწადათ და მეტოქეს თავიდანვე თამამად შეუტყეს. მათდა სამწუხაროდ, ჩეხეთი ის გუნდი არ აღმოჩნდა, რომელსაც სამ ქულას ასწაპნიდნენ. ბელარუსთა მონდომება პირველი ტაიმის დასაწყისში მაინც დაფასდა. ნაკრების ახალწვეულმა, ვიტალი ბულიგამ დამხვედურები თავურით დააწინაურა. სტუმართაგან პაველ ნედველს გათანაბრება მაღლვე შეეძლო, თუმც მისი დარტყმული ძელს შეეჩეხა. მომდევნო შეტევაში ჩეხებმა გოლი გაიტანეს. საჯარიმოში შექმნილი არეულობით იან კოლერმა ისარგებლა და თავით ბურთი კარში შეაგდო. შოტლანდიელმა მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, რადგან მანამდე წესის დარღვევა შეაჩნია, შესვენებამდე ბელარუსთაგან სერგეი გურენკოს და მაქსიმ რომაშ-

ჩენკოს დარტყმული ბურთებს სტუმართა მეკარე არ შეუწუხებია. ორივემ კარის ჩარჩოს ააცილა. მასპინძლებს ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე — ვალენტინ ბელკევიჩი და ალექსანდრ ხაცკევიჩი აკლდათ. მათი არყოფნა გუნდს ტაიმის შუაწელიდან უცბად დაეტყო და ჩეხებმა გაილაღეს. შესვენებამდე პაველ ნედველმა უპირატესობა გოლად აქცია. დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა უხადოდ შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში ბელარუსებისთვის ლივერპულურმა დუეტმა მოიკალა. ვლადიმირ შმიცერიას და მილან ბაროშის გოლებს დამხვედურებმა ვერაფრით უპასუხეს. ბაროშმა პობორსკის პასი შეირგო, შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი შმიცერმა ვახოუშეკს გარჯა დაუფასა და მეტოქე მესამედ დაამწუხრა. „შეხვედრა ძალიან ცუდად დაიწყო, თუმც მეტოქის შესახებ ყველაფერი ვიცოდით — თქვა კარლ ბრიუკნერმა — გუნდი პირველ ტაიმში ვინს მოეგო, მეორეში კი შესანიშნავად გაისარჯა. გამარჯვება აუცილებლად გეჭირდებოდა და შემტევათა კარგი თამაშის წყალობით სამი ქულა მოვიპოვეთ.“
გაბა ხუციშვილი
ჩეხეთი 6 5 1 0 17:2 16
პოლანდია 6 5 1 0 14:3 16
ავსტრია 7 3 0 4 10:11 9
მოლდოვა 6 1 0 5 3:13 3
ბელარუსი 7 1 0 6 3:18 3

IV ჯგუფი
ზღაბანჯული სისარული

შვედეთი 5:0 სან მარინო
1:0 იონსონი (32), 2:0 იაკობსონი (48), 3:0 იბრაჰიმოვიჩი (53), 4:0 კალსტრომი (66), 5:0 იბრაჰიმოვიჩი (81)
მატჩის სანახავად 22 ათასი ქომავი შეიყარა და მათ მხოლოდ ერთხელ, შეხვედრის მიწურულს გატანილი გოლით გაიხარეს. ბოსნიელებმა მეტოქეს თამაშის დაწყებისთანავე ჯიგრიანად შეუტყეს და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტები შექმნეს. მათ შორის გამოსარჩევი პასან სალიპამიჯიჩის თავური იყო. ბაიერნელმა ხუთიოდ მეტრიდან ბურთს ძლიერად უთავაზა, მაგრამ იესპერ იონსენმა სასწაულებრივ მოიგერია. სტუმრები დამხვედურებს საკუთარ საჯარიმოში ჩაუსაფრდნენ და კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ოლე გუნარ სოლსკიერმა და იონ კარემ ბოსნიე-

ლთა მეკარე კენან ჰასაჯიჩს შესვენებამდე თავი ვერაფრით დაამახსოვრეს. მეორე ტაიმში „მანჩესტერის“ ფორვარდმა დაახლოებით ოციოდ მეტრიდან ბურთს გემრიელად კკრა და ჰასაჯიჩმა კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია. ამის შემდეგ მასპინძლებმა კვლავ იმძლავრეს და სტუმართა საჯარიმოს მიესივნენ. შეხვედრის დასრულებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი, ბოსნიელებმა კბილები განსაკუთრებით რომ აიღესეს და „ვიკინგთა“ კართან ხიფათი დაახვავეს. მირსად ბესლიას დარტყმულს ერთ ეპიზოდში იესპერ იონსენიც ვერ მიუსწვდა, მაგრამ სტუმრები ძელმა იხსნა.


თავის მხრივ ნორვეგიელთაგან სახიფათოდ რონი იონსენმა შეუტია, რომლის თავური არაზუსტი გამოდგა. სწორედ ამ შეტევას მოჰყვა ერთადერთი გოლი. კონტრიერიშზე გადასულ მასპინძელთაგან ელვირ ბალიჩმა შორიდან დაარტყა, „ვიკინგთა“ მეკარემ მოიგერია, მაგრამ იქვე ზლატან იბრაჰიმოვიჩი გაჩნდა და საგოლედ დაამატა.
გაბა ხუციშვილი
ლატვია 0:2 პოლონეთი
0:1 ვიკოვიკი (36), 0:2 კლოსი (39)
შვედეთი 6 4 2 0 17:2 14
უნგრეთი 6 3 2 1 13:4 11
პოლონეთი 6 3 1 2 9:4 10
ლატვია 6 3 1 2 6:5 10
სან მარინო 8 0 0 8 0:30 0

V ჯგუფი
ლუდის სპა იოლია?!
პითაეაჟოთი ფახბურთი გერმანულად

ისლანდია 0:0 გერმანია
ისლანდია: არასონი, პიარნასონი, სიგურდსონი (ვიდარსონი 84), ლ. სიგურდსონი, მარტინსონი (გრეტარსონი 76), რ. კრიტინსონი, პრედიარსონი, ი. გუდიონსონი, გუდიონსონი, ტ. გუდიონსონი, პ. პელგასონი (პ. სიგურდსონი 78)
გერმანია: კანი, რანი, ფრიდრიხი (პარტმანი 81), ვიორსი, რამელი, ზაუმანი, ნოივილი (კურანი 46), კელი, შნაიდერი (დაილერი 70), კლოზე, ბალაკი
გაფრთხილება: ფრიდრიხი, კელი, კლოზე, ი. გუდიონსონი, პარტმანი
მსაჯი: პ. ალერტი (ბელგია)
შოტლანდია 3:1 ფარერები
1:0 მაკკერი (8), 1:1 იონსონი (35), 2:1 დიკოვი (45), 3:1 მაკუაფენი (73)
გერმანია საკუთარი ნაკრების უსახური თამაშით განრისხებულია. საყოველთაო კრიტიკამ რუდი ფიოლერი ისე გაახელა, რომ ერთ-ერთი ტელევიზიის სტუდიაში უწრნაღისტი კინაღამ შემოეღასა.




რუდი ფიოლერი
თავის მხრივ, მასპინძელთა დაწინაურება „ჩელსის“ ფორვარდს, ელურ გუდიონსონს შეეძლო ტორდურ გუდიონსენმა „არისტოკრატის“ თანაგუნდელი ოლივერ კანთან პირისპირ დატოვა, მაგრამ მეკარემ გამოცდილ კანს ვერ აჯობა. შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე სტუმართა მეკარე ეიდარ ჰელგასონი თავურმა დააფრთხო, რომელმაც კარს ოდნავ ააცილა. მეორე ტაიმის დასაწყისიდან ბუნდესკრებმა აურთა ისლანდიელებმა გუდიონსენმა და კრისტიან ვიორსი რომ არა, ევბ რუდი ფიოლერი უქულოდ გაესტუმრებინათ. ვიორსმა კარის ხაზზე ჯერ ლარუს სიგურდსონის დარტყმული ბურთი მოიგერია, მერე კი ჰელგასონის თავური. დამხვედურთა მცირეხინანი გააღების შემდეგ სტუმრებმა სადავები ისევ მოიხელთეს. ერთწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნებული სებასტიან დაისლერი ერთობ მონდომებული იყო. ასევე გამოირჩეოდა კეინ კურანი, რომელმაც ასპროცენტანი საგოლე ეპიზოდი დალუპა. შტუტგარტელმა ლამაზი გოლის გატანა მოინდომა, მეკარეს ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო, მაგრამ კარსაც გადააკილა. მიხელო ბალაკი: „პირველ ტაიმში შესანიშნავად ვითამაშეთ და ძალიან კარგი შანსები გვქონდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ოდნავ მოვიშალეთ. გუნდს შეხმატებილება სჭირდება, რაც დროს მოითხოვს. ეს ყველამ ვიცით.“
გაბა ხუციშვილი
ისლანდია 7 4 1 2 11:6 13
გერმანია 6 3 3 0 8:3 12
შოტლანდია 6 3 2 1 10:6 11
ლიტვა 6 2 1 3 4:9 7
ფარერები 7 0 1 6 6:15 1



ოლივერ კანი
მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან მიროსლავ კლოზემ ააცილა, შნაიდერისა და ბალაკის დარტყმები კი დამხვედურთა მეკარემ მოიგერია.

VI ჯგუფი
რუბიკჯან, სომ
არ დაიბრუნა?



რუბენ აირაპეტიანი

სომხეთი 0:1 საბერძნეთი
0:1 გრიხასი (36)
საბერძნეთის ნაკრები ოთხ რე-
პრეზენტაციას...

მთავარი გაზეთების რედაქტორები
მოვიწვიე, ჩემი და სუკასიანის სა-
ტელეფონო საუბარი მოვამწყვინე...

შპრანია 0:0 ჩრდ. ირლანდია
შპრანია: შოკოსკი, ფილიპოვი, პორ-
ტოვი, ლუნი, ნესმაზნი, ტიმოშუკო, რე-
ბროვი (მელაშენკო 72), პუსინი (ტუხევი
16), ზუბოვი, ვორონიჩი, ვორობეი
მწვრთნელი: ლეონიდ ბურიაკი
გაერთიანება: პოუზი, დობროტი, გრიფინი
მსაჯე: გ. სტარკი (გერმანია)
უკრაინის ნაკრებმა იმ გუნდის
დამარცხება ვერ შეძლო...

ბურიაკი და უკრაინა
უახტუი დათარსეს

მომენტები კი ჰქონდათ, მაგრამ
სტუმართა მეკარე მაიკ ტეილორი
უშეცდომოდ თამაშობდა...

ლეონიდ ბურიაკი — გამარჯვება
გვწყურებდა, საბოლოოდ კი ხელში
ფრე შეგვტყდა...

Table with 5 columns: მატჩი, სანდონეტი, ესპანეთი, უკრაინა, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია. Values include 7 5 0 2 7:4 15, 6 3 2 1 10:3 11, 7 2 4 1 10:8 10, 6 1 1 4 6:2 4, 6 0 3 3 0:6 3



უკრაინელებმა და ჩრდილოირლანდიელებმა ერთმანეთი არ დაინდეს

ბურიაკი ფოტოგრაფირებულია

VII ჯგუფი
ლიხტენშტაინი 0:3 თურქეთი
0:1 მტინი (14), 0:2 ოკანი (44), 0:3 შუქური (50)
თურქეთი: რუშთუ, უმილი, ბიულენტი (მა-
რინი 63), იბრაჰიმი, ალფი, ერგუნი, ოკა-
ნი (კარაფინი 75), თუგაი, შუქური, სო-
ნი, მტინი (შაში 63)
მწვრთნელი: შეროლ გიუნეზი
მსაჯე: დ. ვან ვეზონდი (ბოლანდია)

უცნაურია, მაგრამ ლიხტენშტა-
ინის სუსტ ნაკრებთან მატჩი შე-
ნოლ გიუნეზმა საინგლისო რეპე-
ტიციად გამოიყენა...

სწრო შეხვედრას და თავისიანებს
აგულანებდა.
სტუმართა მეკარე, ფაქტობრივად,
არ შეუწუხებიათ...

მის მიწურულს „ხოჯა“ თუნგაიმ
მეორე საგოლე პასი მითვალა...



თურქული სისარული

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

კოლუმბია 1:2 ბრაზილია
0:1 რონალდო (22), 1:1 ანელი (38), 1:2 კაკა (60)
კოლუმბია: ო. კორდობა, მარტინესი, ე. კორდობა, იბესი, ბედოია (პერუა 36), რესტრეპო (პეკუა 64), კაბალიერო, გრისალესი, პატინო (მოლინა 76), ერნანდესი, ანელი
ბრაზილია: დიდა, კაფუ, როკი ფინორი, ლუიზი, რობერტო კარლოსი, ფილბერტო სილვა, ზე რობერტო, ემერსონი (რენტო 60), ალექსი (კაკა 60), რივალდო (დიეგო 88), რონალდო
მაჯი: პორატილი ელიზონდო (არგენტინა) 55 000 მყურებელი

კიჭას სისარული

დეროში დაეტოვებინა და გარემომცვეთა სასიხარულოდ, კოლუმბიის ეროვნულ ფერებში, ანუ ჭყეტელა ოქროსფერ სამოსში გამოწყობილიყო. მოკლედ, ბარანკიელი ინჩასებს თამაშის მოგება გულით ეწადათ და მათგან გამხნეებული ფრანსისკო მატურანას გუნდი ბრაზილიელებს მატჩის დასაწყისშივე გაშვებით ეკეთა.

მსოფლიოს ჩემპიონებმა კი ნელ-ნელა დააცხრეს მასპინძელთა იერიშის სიფიცხე (ამაში ბარანკიას სიცხეც ფრიად დაეხ-

მართ) და შეხვედრის სადაკეები ხელთ იგდეს. ანგარიში 22-ე წუთზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, რონალდომ გახსნა. მარცხენა ფლანგზე საზიფათოდ შეჭრილ კიჭას მეკარე ოსკარ კორდობამ ვერაფერი მოუხერხა — 1:0. თუმცა სტუმრების უპირატესობა „ასტონ ვილას“ ხუან პაბლო ანხელმა მალე გააქარწყლა — კოლუმბიელმა ფრედო გრისალესის პასის შემდეგ ლუსილის დასწრო და ბურთს მომგებიანი თავური დაჰკრა — 1:1. პირველ ტაიმში გუნდებს მოწინა-

უკანასკნელი გამოდგა. ჩემპიონებმა, მიუხედავად კოლუმბიის ნაკრების ფრიალი მცდელობისა და ბარანკიელი ინჩასების ავი ფრია-მულისა, გერმანია 2006-ის პირველი შესარჩევი გამარჯვებით დაასრულეს. ასე რომ, ბრაზილიამ „მეტროპოლიტანოლან“ სამი ქულა წაიღო, ვიცე-პრეზიდენტმა სანტოსმა კი — საკარნავალო ყვირთული მოსასხამი, რაც საუკვოა, ოფიციალური ვიზიტებისას რამეში გამოადგეს.

ლალო ხომეირი

რონალდოს მშობლიური პენტაკამპონების შემადგენლობაში მსოფლიოს არც ერთ მუნდიალის შესარჩევ შეხვედრაში აქამდე მონაწილეობა არ მიუღო. 7 სექტემბერს კი ბარანკიაში ერთმანეთს კოლუმბიისა და ბრაზილიის ნაკრებები შეერკინენ, სადაც „დებიუტანტმა“ კიჭამ ბურთობაც მშვენიერი მოახერხა და გოლიც სასახელო შეაგდო. თუმცა ჯობს, თანმიმდევრულად მივიყვით.

„ესტადიო მეტროპოლიტანოზე“ იმ დღეს ფიესტა მოეწყო. კოლუმბიის ყველა კუთხიდან ჩასული გულშემატკივრები ბარანკიაში შეიკრიბა და პენტაკამპონებთან შებრძოლებამდე მხიარული წინასამატჩო ჟრიალული მოაწყო. თამაშს იქაური ცნობილი პიროვნებები თუ სახელმწიფო მოღვაწეებიც მრავლად დაესწრნენ, რომელთა შორის კოლუმბიის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ფრანსისკო სანტოსი გამოირჩეოდა. ამ პატივცემულ სენიორს საყოველთაო-საჩინოენიკო სოლიდური სტილის პიჯაკი ალბათ იქაური პარლამენტის გარ-



კოლუმბიელმა ჯადო-კაცებმა რონალდო ვერ შეაშინეს



არგენტინა 2:2 ჩილე
1:0 კილი გონსალესი (31), 2:0 აიმარი (35), 2:1 მიროსოვიჩი (60), 2:2 ნავია (77)
არგენტინა: კავალიერო, ვივასი, აიბლა, სპულე, ხ. მანუტი, ვერონი (ალმეიდა 64), კილი გონსალესი, აიმარი, დელესანდრო, დელგადო, კრესპო (სავიოლა 72)
ჩილე: ხ. ტაპია, ალვარესი, კონტრერასი, ოლარა, პერესი, მარკოს გონსალესი, მელენდესი (მიროსოვიჩი 40), მარტელი, მარკ გონსალესი (აკუნია 56), ჰ. ტაპია (პინოლია 56), ნავია
გაფრთხილება: ვერონი, მიროსოვიჩი, მარკოს გონსალესი, აკუნია, სავიოლა
გამყვებია: სამუელი (86), ალვარესი (86), ნავია (90)
მაჯი: უბალდო აკინო (პარაგვაი) 38 000 მყურებელი

ბიელსას არგენტინამ უყვირა

ნელმა თავგანწირული თამაშით იხსნა კარი. ცოტა ხნის შემდეგ, მე-15 წუთზე, უკვე გონსალესი ურ-

ტყამდა, თუმც კვლავაც გოლიკებრმა ივაჟუკაცა. მერე უკვე ნახსენები 27-ე წუთით დადგა, როდესაც კა-

ბალიერომ ჩილეელთა ექტორ ტაპიას დარტყმული უკუაგდო. ამასობაში კი ინჩასებმა უკვე მოთმინება დაკარგეს და კილი გონსალესმაც „დროულად“ დააწინაურა არგენტინა — დალესანდროს ილბლიანი პასის შემდეგ კილიმ ნელსონ ტაპია ბურთის საძებნელად საკუთარ კარში შეაგზავნა — 1:0 31-ე წუთზე. მცირე ხანში ანდრეს დალესანდრომ პაბლო აიმარსაც გაატანა — მისივე გადაცემით „ვალენსიას“ მობურთაღმა ტაბლოზე ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამით მასპინძლებმა საქმე მოთავსებულად ჩათვალეს და დაისჯნენ კიდევ. მეორე ტაიმის მე-60 წუთზე არგენტინულ „რასინგში“ მობურთაღმა მიროვან მილოშევიჩმა „დასაჩუქრა“ კაბალიერო, მერე კი რინალდო ნავიამაც იხეირა — 2:2. გონსოსული პატაგონიელები შტურმზე გადავიდნენ, მაგრამ ტაპიასა და მის დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. მერე „მონუმენტალის“ მინდორზე ტრადიციულ-სამხრეთამერიკული გაწვევ-გამოწვევაც დაიწყო, პარაგუელმა აკინომ კი (მატჩის არბიტრი) სხვადასხვა შეფერილობის ბარათები უხვად ააფრიალა. საბოლოოდ 2:2, სამი გატყვებული ფეხბურთელი (ვალტერ სამუელი, კრისტინ ალვარესი, რინალდო ნავია), გაცოფებული პატაგონიელი ინჩასები და „მონუმენტალზე“ გადმოკიდული „თეთრი ბაირალები“ — „მარსელო ბიელსა — შორს ჩვენი ნაკრებიდან!!!“

ლალო ხომეირი


პეპარო 2:0 ვენესუელა
1:0 ესპინოზა (5), 2:0 ტენორი (72)
პირუ 4:1 პარაგვაი
0:1 გამარა (24), 1:1 სოლანი (34), 2:1 მენდოსა (42), 3:1 სოტო (83), 4:1 ფარფანი (90)
ურუგვაი 5:0 პოლივია
1:0 ფორლანი (18), 2:0, 3:0 ჩევერინი (40, 61), 4:0 აბიჯონი (83), 5:0 ბუენო (88)

არგენტინის ნაკრების სვლა 2006 წლის გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად საკმაოდ უფერულად დაიწყო. 6 სექტემბერს ბუენოსაირესულ „მონუმენტალზე“ შეკრებილი მრავალმრიცხოვანი პატაგონიური ინჩადა ჩილელებთან თამაშის მერე სტადიონის საკმაოდ ნირწამხდარი ტოვებდა, არადა, მატჩის დასაწყისში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ გულშემატკივარს არ უნდა მოეწყინა, რამეთუ მთელი პირველი ტაიმი მარსელო ბიელსას შეგირდებმა სტუმართა დაცვას მძიმე გამოცდად უქციეს. აიმარ-დალესანდროს კომბინაციებმა, ვერონის სიძლიერემ, მარჯვენა ფლანგზე ძანეტის უწყვეტმა რბოლამ და დელგადოს გამიზნულმა პასებმა ხუვენალ ოლმოსის ნაკრები ოდენ საკუთარი უკანა ხაზის მეთვალყურედ დატოვა. ოცდამეშვიდე წუთამდე ჩილელებს პაბლო კაბალიეროს კარისკენ არც გაუხედავთ.

პირველი საზიფათო ეპიზოდი ერნან კრესპომ შექმნა. პატაგონიელი მომხვედურთა მეკარეს საგოლედ მიეჭრა, მაგრამ ამ უკანასკ-



ერნან კრესპომ არგენტინა გააწილა



ეკვადორელთა მწვერთელი ერნან დარო გომესი, ცხადა, გახარებულია

სარბიელი & კროკო

სარბიელი

ხროსო თბილისურ ბიროებში შვიდლიათ მიხრძანლეთ ნებისიერი ვალუბით

1 X 2 1-X 1-2 X-2

1 X 2 1-X 1-2 X-2

გერმანია. რეგიონალლიბა (ჩრდილოეთი). V ტური								04.45 625 ბრზილია-ეკვადორი 1,15 6,0 14,0 1 1,06 4,19								
10 სექტემბერი								26 ბრზილია-ეკვადორი 0:1 1,4 3,8 4,2								
21.30	120	ლინამო-უპერტალი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46	ევრო 2004 შესარჩევი მატჩები.							
ავსტრია. ბუნდესლიბა. VIII ტური								10 სექტემბერი								
10 სექტემბერი								20.00 627 ისრაელი-მალტა 1,05 9,0 25,0 1 1 6,61								
22.30	312	ავსტრია-პაშინგი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46	628 ისრაელი-მალტა 0:2 2,0 4,6 2,0							
	313	ავსტრია-პაშინგი 0:1	2,05	3,2	2,45				20.30 629 ანდორა-ბულგარეთი 25,0 9,0 1,05 6,61 1 1							
22.30	314	მატერსბურგი-ზალცბურგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8	630 ანდორა-ბულგარეთი 2:0 2,0 4,6 2,0							
ავსტრია. I დივიზიონი. IX ტური								21.00 631 მოლდოვა-ბელარუსი 2,15 3,2 3,2 1,28 1,28 1,6								
9 სექტემბერი								21.00 632 რუსეთი-შვეიცარია 1,8 3,2 4,2 1,15 1,26 1,81								
20.00	322	ლუსტენაუ-უნტერზიბენბრიუნი3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21		22.15 633 დანია-რუმინეთი 1,85 3,2 4,0 1,17 1,26 1,77							
22.00	323	კაფენბერგი-რიდი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67	22.30 634 ფარერები-ლიტვა 3,6 3,2 1,95 1,69 1,26 1,21							
22.00	324	ლინცერი-ავსტრია(ლ)	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46	23.00 635 ალბანეთი-საქართველო 2,1 3,5 2,0 1,31 1,02 1,27							
22.00	325	ტიროლი-ლეობენი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1	23.00 636 ლუქსემბურგი-ბოსნია 14,0 6,0 1,1 4,19 1,01 1							
22.00	326	ბლაიბერგი-ვიორგლი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46	637 ლუქსემბურგი-ბოსნია 1:0 4,2 4,2 1,35							
შვედეთი. სუპერეტა. XXIII ტური								23.00 638 ლატვია-უნგრეთი 2,7 3,2 2,4 1,46 1,27 1,37								
11 სექტემბერი								23.15 639 პოლონეთი-შვედეთი 2,4 3,1 2,8 1,35 1,29 1,47								
22.00	380	ასირისკა-ფრიოლუნდა	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4	23.15 640 ჩეხეთი-პოლანდია 2,35 3,2 2,8 1,35 1,27 1,49							
ისლანდია. თასი. 1/2 ფინალი								23.15 641 სლოვაკეთი-მაკედონია 1,55 3,6 5,6 1,08 1,21 2,19								
10 სექტემბერი								23.15 642 ბელგია-ხორვატია 2,0 3,2 3,5 1,23 1,27 1,67								
00.40	617	პაფნარფიორდური-რეიკიავიკი2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35		23.45 643 უელსი-ფინეთი 1,7 3,4 4,6 1,13 1,24 1,95							
რუსეთი. ლიგის თასი. ფინალი. I მატჩი								23.45 644 სერბია-იტალია 3,6 3,2 1,95 1,69 1,26 1,21								
9 სექტემბერი								23.45 645 სლოვენია-საფრანგეთი 4,8 3,1 1,75 1,88 1,28 1,11								
16.00	620	ზენტი-ჩერნომორეცი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94	23.45 646 გერმანია-შოტლანდია 1,35 4,2 8,0 1,02 1,15 2,75							
მშ შესარჩევი მატჩები								647 გერმანია-შოტლანდია 0:1 1,9 3,2 2,7								
9 სექტემბერი								24.00 648 ჩრდ.ირლანდია-სომხეთი 1,75 3,3 4,4 1,14 1,25 1,88								
04.00	621	ვენესუელა-არგენტინა	7,0	3,8	1,45	2,46	1,2	1,04	24.00 649 ინგლისი-ლიხტენშტაინი 1,01 9,0 50,0 1 1 7,62							
06.10	622	ჩილე-პერუ	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95	650 ინგლისი-ლიხტენშტაინი 0:41,95 5,0 1,95							
10 სექტემბერი								00.45 651 ესპანეთი-უკრაინა 1,25 5,0 10,0 1 1,11 3,33								
01.00	623	ბოლივია-კოლუმბია	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44	652 ესპანეთი-უკრაინა 0:1 1,65 3,3 3,3							
03.45	624	პარაგვაი-ურუგვაი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6	ევრო 2004 შესარჩევი მატჩები (21 წლამდე).							
9 სექტემბერი								9 სექტემბერი								
04.00	621	ვენესუელა-არგენტინა	7,0	3,8	1,45	2,46	1,2	1,04	19.40 653 ჩეხეთი(21)-პოლანდია(21) 1,35 4,0 7,5 1 1,14 2,6							
06.10	622	ჩილე-პერუ	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95	654 ჩეხეთი(21)-პოლანდია(21) 0:1 1,95 3,2 2,6							
01.00	623	ბოლივია-კოლუმბია	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44	20.00 655 პოლონეთი(21)-შვედეთი(21) 1,8 3,2 4,0 1,15 1,24 1,77							
03.45	624	პარაგვაი-ურუგვაი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6	20.00 656 ლატვია(21)-უნგრეთი(21) 3,8 3,2 1,85 1,73 1,24 1,17							

